თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2018 წლის 22 იანვარი

დაბა თიანეთი

„თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 დეკემბრის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი 18/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.154.016323) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	რანგი	კატეგორია	თანამდებობა	რაოდენობა
1	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	აპარატის უფროსი	1
2	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	იურიდიული განყოფილების უფროსი	1
2.1	III რანგი	II კატეგორია	იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი	1
2.2	III რანგი	III კატეგორია	იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი	1
3	III რანგი	III კატეგორია	აპარატის უფროსი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში	1
4	III რანგი	III კატეგორია	აპარატის უფროსი სპეციალისტი პიარის და საზოგადოებასთან ურთერთობის საკითხებში	1

“.

2. დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 3. დადგენილება ძალაშია 2018 წლის 1 მარტიდან.“

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი წოწკოლაური**